

შპს "სადუნი"
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "სადუნი"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3 - 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	9
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	14
4 წინა პერიოდის გადაანგარიშება	15
5 ძირითადი საშუალებები	15
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
7 ფული და ფულის ეკვივალენტები	16
8 საწესდებო კაპიტალი	16
9 მიღებული სესხი	16
10 ანარიცხები სასამართლო დავებისათვის	17
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
12 საგადასახადო ვალდებულებები	17
13 შემოსავალი	17
14 სხვა საოპერაციო შემოსავლები	17
15 ხელფასის ზარჯი	17
16 სხვა საოპერაციო ზარჯი	18
17 საპროცენტო შემოსავალი/(ზარჯი), ნეტო	18
18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	18
19 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

შპს "სადუნი"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "სადუნის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (შსს ფასს) შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადეკვატური კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 7 ივლისს:

გიორგი ცინცაძე
გენერალური დირექტორი
შპს "სადუნი"



დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**შპს "საღუნის" მფლობელებსა და ხელმძღვანელობას****მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საღუნის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 4-ზე - „წინა პერიოდების გადაანგარიშება“, სადაც აღწერილია კომპანიის მიერ წინა საანგარიშგებო პერიოდების გადაანგარიშების შედეგები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგვით და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგვმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადირიჯზო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სადირიჯზო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-A-865011

თარიღი: 7 ივლისი, 2023

თბილისი, საქართველო



შპს "სადუნი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21*	1-იან-21*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები	5	4,571,613	4,544,254	4,534,832
ძირითადი საშუალებები		8,715	660	770
არამატერიალური აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,580,328	4,544,914	4,535,602
მოკლევადიანი აქტივები				
პირები		25,663	9,935	5,041
საექსპო და სხვა მოთხოვნები	6	142,688	159,717	68,522
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	369,652	78,953	182,099
სულ მოკლევადიანი აქტივები		538,003	248,605	255,662
სულ აქტივები		5,118,331	4,793,519	4,791,264
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	1,094,324	1,094,324	1,094,324
გაუნაწილებელი მოგება		3,837,391	3,550,326	3,315,847
სულ კაპიტალი		4,931,715	4,644,650	4,410,171
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	-	-	19,615
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	19,615
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოღებული სესხი	9	46,680	43,221	18,124
ანარკსები სასაქონლო დავებისათვის	10	-	18,656	243,763
საექსპო და სხვა ვალდებულებები	11	139,936	86,992	60,475
საგადასადო ვალდებულებები	12	-	-	7,636
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		186,616	148,869	361,478
სულ ვალდებულებები		186,616	148,869	381,093
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,118,331	4,793,519	4,791,264

შენიშვნა: * - გადაანგარიშებული

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 7 ივლისი:

გიორგი ცინცაძე
გენერალური დირექტორი
შპს "სადუნი"



შპს "სადუნი"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021*
შემოსავალი	13	1,915,610	1,612,253
სხვა საოპერაციო შემოსავლები	14	122,250	124,000
სულ შემოსავალი		2,037,860	1,736,253
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასის ხარჯი	15	(1,083,393)	(927,970)
ცვლის და ამორტიზაციის ხარჯი	5	(79,259)	(69,603)
ხაჭვო მთხოვნის ხარჯი	6	25,251	(52,394)
სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(634,975)	(429,901)
საოპერაციო მოგება		265,484	256,385
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	17	17,204	4,557
სასამართლო დავების შემოსავალი/(ხარჯი)	9	5,348	(24,593)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(145)	(1,260)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(826)	(610)
მოგება დაბეგვრამდე		287,065	234,479
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)		287,065	234,479
სხვა სრული შემოსავლები		-	-
სულ წლის სრული შემოსავლები/(ხარჯი)		287,065	234,479

შენიშვნა: * - გადაანგარიშებული

დაამტკიცებულება გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 7 ივლისი:

გიორგი ცინცაძე
გენერალური დირექტორი
შპს "სადუნი"



შპს "სადუნი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)	1,094,324	3,315,847	4,410,171
წმინდა მოგება	-	234,479	234,479
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	234,479	234,479
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1,094,324	3,550,326	4,644,650
წმინდა მოგება	-	287,065	287,065
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	287,065	287,065
31 დეკემბერი 2022	1,094,324	3,837,391	4,931,715

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 7 ივლისი:

გიორგი ცინცაძე
გენერალური დირექტორი
შპს "სადუნი"



შპს "სადუნი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა		2,008,230	1,537,561
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან		122,250	124,000
მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები		(648,146)	(455,026)
გადახდილი ხელფასები		(846,777)	(785,473)
სასამართლო კომპენსაციის და სახელმწიფო ბაჟის გადახდა		(10,808)	(234,112)
გადახდილი გადასახადები		(241,462)	(210,336)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		383,287	(23,386)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(109,932)	(81,002)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(8,743)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(109,932)	(89,745)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		17,489	10,037
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		17,489	10,037
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)		290,844	(103,094)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		78,953	182,099
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებზე		(145)	(52)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	369,652	78,953

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 7 ივლისი:

გიორგი ცინცაძე

გენერალური დირექტორი

შპს "სადუნი"

გ. ცინცაძე

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „სადუნი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1999 წლის 29 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, ქართული კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 202063480.

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის წილები ნაწილდება შემდეგ პირებზე:

გიორგი ცინცაძე (პ/ნ 01031006240) 51%;
ლელა ლოცულაშვილი (პ/ნ 31001035674) 20%;
ჟანა ძეგნიაური (პ/ნ 01019014571) 20%;
ხათუნა სულაძე (პ.ნ 01023005070) 9%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი საშუალო და საბაზისო განათლება (სკოლა და ბაღი).

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დავით ბაქრაძის ქუჩა №15.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის მომენტში კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორი გიორგი ცინცაძე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მართებულობის შეფასებისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია კომპანიის მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე თორმეტ თვეს მაინც, მაგრამ შეზღუდული არ არის ამ ვადით. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ამასთან, კომპანიის ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და შესაბამისად, მიიჩნევა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კლასიფიკაციას. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.3 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

2.4 ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	1-იან-2021
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040	4.0233

2.5 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველად ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომელთა პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება/(ზარალის)“ სახით.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალი.

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ძირითადი საშუალებების დამონტაჟებისა და გამოყენებისთვის მზადყოფნის დღიდან. კომპანია ცვეთის ხარჯს არიცხავს შემცირებადი ნაშთის მეთოდით ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობები	5%
ავტო და ოფისის აღჭურვილობა	20%
სამზარეულოს აღჭურვილობა და სხვა	20%

2.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ათ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.7 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებები

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში, თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად, ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.8 მარაგები

მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდ ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.10 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.11 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ზარალებში.

2.12 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ზარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ზარადად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ის წარმოიქმნა.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.13 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

2.14 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2017 წლის 1 იანვრიდან ახალი რეგლამენტის მიხედვით ყველა ქართულ კომპანიას, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, გადასახადი ეკისრებათ მოგებაზე, რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნული გადასახადით დაბეგვრას.

2.15 საწესდებო კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.16 შემოსავლის აღიარება

საწარმო შემოსავალს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოკლებულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდამოშობა, ასევე გადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდამოშობები. შემოსავალი სასწავლო კურსებიდან აღიარდება აკადემიურ (კალენდარული ათი თვე) წელზე.

2.17 ხარჯები

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მოლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2 ხარჯები (ხარჯები)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შევებულებების და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულ პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისაგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განაზოცხდოს.

2.18 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის მის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა/ამორტიზაცია, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა/ამორტიზაცია, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ანარიცხები

კომპანია იყენებს ინდივიდუალური მიდგომას (კონტრაგენტების მიხედვით) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. კომპანია აფასებს (ფინანსური აქტივებიდან) ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)**3.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ანარიცხები (გაგრძელება)**

კადასტრაცილება	<30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360 დღე
რეზერვი	0%	2%	5%	25%	50%	100%

3.3 საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვლადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხელვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო აღმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

4 წინა პერიოდის გადაანგარიშება

კომპანიის ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა წინა წლების შეცდომა და შესაბამისად, გადაიანგარიშა გასული საანგარიშგებო პერიოდის ნაშთები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

2021 წლის 31 დეკემბერი	წინა ანგარიშგებით		კლასიფიკაციის	
	წარდგენილი	კორექტირება	ცვლილება	კორექტირებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	149,968	-	9,749	159,717
მოკლევადიანი აქტივები	149,968	-	9,749	159,717
საწესდებო კაპიტალი	1,031,534	62,790	-	1,094,324
გაუნაწილებელი მოგება	3,623,439	(73,113)	-	3,550,326
კაპიტალი	4,654,973	(10,323)	-	4,644,650
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	23,149	20,072	-	43,221
მიმდინარე ვალდებულებები	23,149	20,072	-	43,221
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საპროცენტო შემოსავალი/(ზარჯი), ნეტო	7,045	(2,488)	-	4,557
საოპერაციო მოგება	7,045	(2,488)	-	4,557

2021 წლის 1 იანვარი	წინა ანგარიშგებით		კორექტირებული	
	წარდგენილი	კორექტირება	კორექტირებული	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
საწესდებო კაპიტალი	1,031,534	62,790	1,094,324	
გაუნაწილებელი მოგება	3,386,472	(70,625)	3,315,847	
კაპიტალი	4,418,006	(7,835)	4,410,171	
საგადასახადო ვალდებულებები	17,385	(9,749)	7,636	
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	540	17,584	18,124	
მიმდინარე ვალდებულებები	17,925	7,835	25,760	

5 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენიშნული- ნაგებობები	ავეჯი და ოფისის ალჭურვილობა	სამზარეულოს ალჭურვილობა და სხვა	სულ
1-იან-21	3,453,728	1,126,108	130,334	68,564	4,778,096
შემოსვლა	-	19,121	48,541	14,030	81,692
გასვლა	-	-	(3,697)	(2,406)	(6,103)
31-დეკ-21	3,453,728	1,145,229	175,178	80,188	4,854,323
შემოსვლა	-	12,500	94,005	-	106,505
გასვლა	-	-	(1,315)	(264)	(1,579)
31-დეკ-22	3,453,728	1,157,729	267,868	79,924	4,959,249

დაგროვილი ცვეთა

1-იან-21	-	(157,127)	(57,423)	(29,352)	(243,902)
ცვეთა	-	(47,513)	(14,737)	(7,243)	(69,493)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	2,018	1,308	3,326
31-დეკ-21	-	(204,640)	(70,142)	(35,287)	(310,069)
ცვეთა	-	(46,526)	(23,834)	(8,209)	(78,569)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	835	167	1,002
31-დეკ-22	-	(251,166)	(93,141)	(43,329)	(387,636)

ნარჩენი ღირებულება

1-იან-21	3,453,728	968,981	72,911	39,212	4,534,832
31-დეკ-21	3,453,728	940,589	105,036	44,901	4,544,254
31-დეკ-22	3,453,728	906,563	174,727	36,595	4,571,613

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-22	31-დეკ-21	1-იან-21
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	231,537	249,682	139,367
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(103,001)	(128,252)	(75,858)
სულ ფინანსური აქტივები	128,536	121,430	63,509
არაფინანსური აქტივები			
გადახდილი ავანსები	8,132	25,666	5,013
სხვა მოთხოვნა	6,020	12,621	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	142,688	159,717	68,522

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა

	2022	2021
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	(128,252)	(75,858)
დარიცხვა წლის განმავლობაში	25,251	(52,394)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(103,001)	(128,252)

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-22	31-დეკ-21	1-იან-21
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	367,730	78,469	181,976
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,922	484	123
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	369,652	78,953	182,099

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, რომლებიც განთავსებულია ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში. კომპანიის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგებიდან გამომდინარე.

8 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან. ანგარიშგებაში მოცემული საწესდებო კაპიტალიდან 1,094,324 ლარიდან წესდებით განსაზღვრული კაპიტალი არის 2,000 ლარი.

9 მიღებული სესხი	ვადა	ვალუტა	31-დეკ-22	31-დეკ-21	1-იან-21
სესხი (მ.ც.)	96 თვე	ლარი	19,615	19,615	19,615
სესხი (მ.ც.)	72 თვე	ლარი	12,815	12,815	12,815
გადასახდელი პროცენტი		ლარი	14,250	10,791	5,309
სულ მიღებული სესხი			46,680	43,221	37,739

	31-დეკ-22	31-დეკ-21	1-იან-21
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	-	-	19,615
სულ გრძელვადიანი სესხი	-	-	19,615
სესხის მიმდინარე ნაწილი	46,680	43,221	18,124
სულ გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	46,680	43,221	18,124
სულ სესხები	46,680	43,221	37,739

	2022	2021
საწყისი ნაშთი	43,221	37,739
პროცენტის ღარიცხვა	3,459	5,482
საბოლოო ნაშთი	46,680	43,221

მარიამ ცინცაძისგან (დამფუძნებელი) მიღებულია სესხები ნულოვანი საპროცენტო განაკვეთებით: 2014 წლის 10 თებერვალს 318,000 ლარი და 2015 წლის 1 სექტემბერს 32,221 ლარი. სესხის ხელშეკრულება დადებულია შესაბამისად 96 თვით და 72 თვით. ვინაიდან სესხები არის უპროცენტო, კომპანიამ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში სესხი აღიარა მიმდინარე ღირებულებით. დისკონტირების საპროცენტო განაკვეთის საშუალო მაჩვენებელი ხელშეკრულებების მოქმედების ვადაზე შეადგენს 12%-ს. სხვაობა სესხის თავდაპირველ თანხასა და სესხის მიმდინარე ღირებულებას შორის აღიარებულია როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა.

10 ანარიცხები სასამართლო დავებისათვის

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ არის ჩართული სასამართლო დავებში და შესაბამისად არ არის წარმოდგენილი რაიმე ანარიცხი.

წინა საანგარიშგებო წელს კომპანია ჩართული იყო სასამართლო დავებში. სასამართლო დავებიდან გამომდინარე ხარჯები, რაც შეიძლება კომპანიას დაეკისროს შეფასებულია და აღრიცხულია პირობითი ვალდებულების აღრიცხვის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანარიცხები სასამართლო დავების შესახებ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია როგორც მიმდინარე ვალდებულება, 18,656 ლარს ოდენობით.

კომპანიამ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სასამართლო დავების ხარჯის სახით წარმოადგინა სასამართლო დავებთან დაკავშირებული ხარჯები, რამაც 2021 წელს სასამართლო ბაჟის ჩათვლით შეადგინა 24,593 ლარი. 2022 წელს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემოსავალი 5,348 ლარი, როგორც სხვაობა ადრე აღიარებულ და რეალურად ანაზღაურებულ ხარჯებს შორის.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-22	31-დეკ-21	1-იან-21
ფინანსური ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	28,340	14,741	1,899
არაფინანსური ვალდებულება			
მიღებული ავანსები	111,596	72,251	58,576
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	139,936	86,992	60,475

12 საგადასახადო ვალდებულებები

გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად.

13 შემოსავალი	2022	2021
შემოსავალი სკოლიდან	1,666,957	1,513,079
შემოსავალი ბაიდან	160,570	67,832
სხვა შემოსავალი	88,083	31,342
სულ შემოსავალი	1,915,610	1,612,253

14 სხვა საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის სხვა საოპერაციო შემოსავლები (2022 წელი: 122,250 ლარი; 2021 წელი: 124,000 ლარი) არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიღებული თანხები. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2015 წლის დადგენილების #476 ფარგლებში არასაჯარო სკოლებისათვის მიღებულ დაფინანსებას, ერთ მოსწავლეზე წელიწადში 300 ლარის ოდენობით.

15 ხელფასის ხარჯი

ხელფასის ხარჯი მოიცავს დასაქმებულთა გასამრჯელოებს, ყველა სახის ანაზღაურებას (მატერიალური და არამატერიალური), საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, საპენსიო მოსაკრებელს და დაზღვევის ხარჯს. 2021 წლების ხელფასის ხარჯი შემცირებულია კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული დამქირავებლისათვის საშემოსავლო გადასახადზე დადგენილი შეღავათის თანხით. ხელფასის ხარჯი 2022 და 2021 სააგნარიშგებო წლებისათვის შეადგენს შესაბამისად: 1,083,393 ლარს და 927,270 ლარს.

16 სხვა საოპერაციო ხარჯი	2022	2021
რემონტის ხარჯი	231,433	170,064
კომუნალური ხარჯი	113,790	78,330
საკონსულტაციო ხარჯი	92,379	59,606
კვების ხარჯი	82,328	44,111
ოფისის და სამუშაო ხარჯი	38,831	24,540
დაცვის ხარჯი	15,956	15,120
საგადასახადო ხარჯი	14,558	12,588
კომუნიკაციის ხარჯი	3,115	4,273
უსაფრთხოების სისტემის რემონტის ხარჯი	3,764	3,799
სხვა საოპერაციო ხარჯი	38,821	17,470
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	634,975	429,901

17 საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	2022	2021
საპროცენტო ხარჯი	(3,459)	(5,482)
საპროცენტო შემოსავალი	20,663	10,039
სულ საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	17,204	4,557

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები**სასამართლო დავები**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლების ანგარიშგებებში კომპანიამ აღიარა მიმდინარე და დასრულებული სასამართლო დავების შედეგები, რომლებიც კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით გამოიწვევენ არსებით დანახარჯების წარმოქმნას (იხ. შენიშვნა 10 - ანარიცხები სასამართლო დავებისათვის).

19 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშგაღებულ საწარმო).

ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშგაღებულ საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- I) არის ანგარიშგაღებულ საწარმოს, ან მისი მშობელისაწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- II) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშგაღებულ საწარმოს; ან
- III) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგაღებულ საწარმოზე; ან

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშგაღებულ საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- I) ეს საწარმო და ანგარიშგაღებულ საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- II) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- V) ეს საწარმო არის ანგარიშგაღებულ საწარმოს, ან ანგარიშგაღებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშგაღებულ საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშგაღებულ საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- VI) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშგაღებულ საწარმოსთვის, ან ანგარიშგაღებულ საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- VIII) ა II პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ოპერაციების შესახებ.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-22	31-დეკ-21	1-იან-21
მიღებული სესხი	46,680	43,221	37,739
ანარიცხები სასამართლო დავებისათვის	-	18,656	84,000
გადასახდელი ხელფასი	330	-	18,473
სულ ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	47,010	61,877	140,212

19 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2022	2021
უმალესი ხელმძღვანელობის ხელფასის ხარჯი	143,437	143,146
სასამართლო დავების ხარჯი	(6,156)	18,656
საპროცენტო ხარჯი	3,459	5,482
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	140,740	167,284

20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიის პარტნიორთა კრების ოქმის თანახმად, 2023 წლის 28 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების შესახებ 30 ათასი ლარის ოდენობით.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.
